№ 40
ხუთშაბათი, 15 ოქტომბერი 1909წ.

მომავალი

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 40
ხუთშაბათი, 15 ოქტომბერი 1909 წ.

დღეს ათ საათზე საკუთარ ბინიდან ორთაჭალა წალკისის ქუჩა № 94 გამოასვენებენ ბერძნების ნიკოლოზის ეკლესიაში უდროვოთ გარდაცვალებულის გვამს

კოტე იოსეს ძე ლექავას

რასაც აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგთ, მეუღლე მისი სოფიო, მშობლები: აგაფია და იესე; დები: ეფემია, ქრისტინა და მინადორა: ძმა ივანე, ცოლის და მარგარიტა, თანამოსამსახურენი განსვენებულისა და ამხანაგები. ეკლესიიდან გასვენებულ იქნება დასაკრძალავათ პეტრე-პავლეს სასაფლაოზე.

წარმოდგენა 7. **ქართული თეატრი** წარმოდგენა 7.

ხუთშაბათს, 15 ოქტომბერს 1909 წელს

მამა-დავითის საქალებო სკოლის სასარგებლოთ

ქართული დრამატ. საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ბ-ნ **დ. მგალობლიშვილის** სადებიუტოთ პიესა ვ. სარდუსი

აი გიდი მეგობრებო!

კომ. 4 მოქ. თარ. კ. ბაქრაძისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ტასო აბაშიძე, ა. კარგარეთელი, მ. მდივანი, ბ. ნებიერიძისა, მ. ქილარჯიშვილი, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ი. ზარდალიშვილი, ი. ივანიძე, კ. მესხი, ვ. მატარაძე, მგალობლიშვილი, შ. საფაროვი.

ადგილების ფასი: ლოჟები 11 მ. 70 კ-დან 5 მ-დე, პარტერი 2 მ. 70 75 კ.-დე, გალერეა 40 კ-დან 20 კ-მდე, მოწაფეთათვის 40 კაპ.

დასაწყისი სწორეთ საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენათ: «ორი ობოლი» ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის მონაწილეობით.

მორიგი რეჟისორი კ. **მესხი.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

საღამოს გამგე კნ. ელ. ჯამბაკურიან-ორბელიანისა.

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

ხუთშაბათს, 15 **ოქტომბერს** 1909 წ. სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ სექციისაგან წარმოდგენილი იქნება:

სამხედრო ბანაკში

დრამა 4 მოქმ. ბეიერლეინისა.

წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს სექციასთან არსებულ სცენის მოყვარეთა მთელი დასი.

ადგილების ფასი ერთი შაურიდან ათ შაურამდე.

ანონსი: შემდეგი ქართული წარმოდგენა გაიმართება შაბათ საღამოს, 24 ოქტომბერს. მზადდება წარმოსადგენათ «დალატი» სუმბათაშვილისა და სხვა.

დაგეჯითებითა ვსთხოვთ საზოგადოებას სხვის ადგილზე ნუ დასხდებიან. პატარა ბავშვების თეატრში შეშვება სრულიად აკრძალულია. წესიერების დაცვაში, იმედია, თვით საზოგადოება დაგვეხმარება.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი **შათირიშვილი.** ადმინისტრატორი **სვირელი.**

ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლი და სამშობიარო განყოფილებით. ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

ბალარჯიევი ვ. დ. შინაგან და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა კვირისა 11—12 ს.

გედევანიშვილი მ. ა. ნერვების და ელ. ორშაბ., ოთხშ. და პარ. 10½—11.

გურკო ა. გ. შინაგანი. შაბათს 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

კარშინი ა. ა. კანისა და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინაგ., სამშ. და შაბ. 10—12.

მანსვეტაშვილი ვ. მ. შინაგანი. ორშაბ., ხუთშ. და შაბ. 1—2.

მელიქიშვილი ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 12—1 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს. თვალის. ორშაბათ., ოთხშ. და პარსკ. 2—2½ ს.

პირადოვი რ. ბ. ქირურგ., ყოველ დღე 11—12 ს.

პოპოვი ბ. ა. ყურის, ყელის და ცხვირის, ყოველ დღე, გარდა პარ. 2—2½ ს.

რცხილაძე ნ. კბილ. ყოველ დღე 9—11.

სოზოლევსკი გ. ვ. ქირურგ. ყოველ დღე 9—11 ს.

თიკანაძე ი. ე. დედაკაც. საბებიო. ყოველ დღე 1—2 ს.

ფედოროვი ე. გ. მიკრ. ქიმ.-ბაქტ. გამოკვლევა. (100—6—12)

ვოგზლის კერძო სამკურნალო

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვოგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695).

ექ. ს. ვაშაყმაძე კბილის ავათმყ. ყოველ დღე 9—10 ს.

ექ. ი. გომართელი ყოველ დღე 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ ავათმყ.

ექ. ა. ნ. დიასამიძე: ყოველ დღე 11½—12½ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

ექ. ნ. მ. მელიქიშვილი: ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.

ექ. ბ. ა. პოპოვი: ყოველ დღე, გარდა კვირისა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.

ექ. ვ. ს. მუსხელიშვილი: სამშაბათს ხუთშაბ. და შაბათს 2—2½ ს.; თვალის ავათმყოფ.

ექ. ე. გ. ფედოროვი: ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირ. 11—12 ს. შინაგანი და ბავშვ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით. (100—12)

აქციზის მომატების გამო

ყველა თამბაქოს ნაწარმოებზე

50 პროცენტით და **50**-ზე მეტით

და თამბაქოს გაძვირების გამო

ბოზარჯიანცის

ფაბრიკამ დევიზათ გაიხადა: როგორც წინათ, ეხლაც მაღალი ღირსების პაპიროსები გამოუშვას და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს

СИМПАТІЯ № 8 — 10 шт. 6 к. **НАРОДНЫЯ ЭКОНОМІЯ** — 10 шт. 4 к.

ასეთი უმნიშვნელო ფასის მომატებით ფაბრიკას საშუალება ეძლევა გამოუშვას მუდამ მაღალ **ღირსების** პაპიროსები და მომავალში ეცდება მათ გაუმჯობესებას, რომ ამით გაამართლოს და გაამაგროს ფირმამ თავისი დამსახურებული **ნდობა** 50 წლის განმავლობაში ჩვენი ფაბრიკის პაპიროსების მყიდველთა თვალში.

შენიშვნა: ამ ცნობით (და არა რეკლამით) ბოზარჯიანცის ფაბრიკას სურს გააცნოს პატივცემული საზოგადოება საქმის ახალ, ნამდვილ მდგომარეობას.

970 სტ. აქცზ. უსტ. ძალით, ზემოაღნიშნულ პაპიროსების მეტ ფასში გაყიდვა, რაც მათ აწერია აღკრძალულია. (10—9).

ტფილისის სახაზინო თეატრი

საოპერო ამხანაგობა ანტ. ეიხენვალდის გამგეობით დღეს ვერდის ოპერა 4 მოქმ.

„ტრავიატა“

მუსიკალური დადგმა ნ. ა. მიკლაშევსკის, სასცენო,—ანტ. ეიხენვალდისა

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: დე-ვოს-სობოლევა, ზახლავსკისა, ედელბერგ; ბ-ნნი: გურონი, დემიანენკო, ევლახოვი, კორჩმარევი, ობრუბოვი, პევცოვი, ხმელევი.

ფასები ჩვეულებრივია. **დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

ხვალ მეორეჯერ ვ. ჩილეას **„ანდრიენნა ლეკუვრერ“** ახლდება ე. გუმპერდინის **„ჰენზელ და გრეტელ“.** (0—8)

ქართული ავლაბრის თეატრი **წარმოდგენა № 4.**

შაბათს, 17 **ოქტომბერს** 1908 წ. ქართულ სცენის მოყვარეთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება:

დამარცხებულნი

პიესა 5 მოქმ. ირეთელისა.

მონაწილეობას იღებენ ქ-ნნი: რჩეულოვი, ქართველიშვილი, კავთელი; ბ-ნნი: სალაყაია, ჯიბლაძე, ქიზიყელი, გელიკურაშვილი, გომელაური, ბადაშვილი, მესხიძე, მაისურაძე, მარველოვი, რევაზოვი, გოჩიტაშვილი და სხვ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ადგილების ფასები 10 კ.-დან 80 კ.-მდე.

უმორჩილესათა ვთხოვთ საზოგადოებას, რომ თვით დაგვეხმაროს წესიერების დაცვაში, სხვის ადგილზე ნურავინ დაჯდება, პატარა ბავშვებს თეატრში ნუ შემოიყვანენ და თეატრში სტვენა და აურ-ზაური აკრძალულია, წინააღმდეგ შემთხვევაში თეატრიდან გაყვანილი იქნება.

(2—1) დირექცია **ამო ხარაზიანი.**

დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

14 ოქტომბერი.

სპარსეთი.

თავრიზი. ურმიაში ცნობილი საიდულმალი სამასი ფიდაით არდებილის დასახსნელათ წავიდა.

საზღვარ-გარეთ

ბელგრადი. ახალი სამინისტრო პირველათ გამოცხადდა სკუპშჩინის კრებაზე 12 ოქტომბერს. მინისტრ-პრეზიდენტმა პაშიჩმა წაიკითხა მთავრობის დეკლარაცია, რომლითაც განაცხადა, რომ მისი შინაური და გარეული პოლიტიკა ნოვაკოვიჩის შეერთებულ კაბინეტის პოლიტიკის გაგრძელება იქნება; მთავრობას აზრათ აქვს დაასრულოს ჯარების რეორგანიზაციის, ფინანსების მოწესრიგების და ეკონომიურ ცხოვრების მოწყობის საქმეები. გარდა ამისა ახალმა მთავრობამ უნდა მოაწესრიგოს შინაური პოლიტიკური ცხოვრება საპარლამენტო საარჩევნო სისტემის გაუმჯობესებით; ჯარის რეორგანიზაციის საქმის გადადება შეუძლებელია. ამ სესიაში შესაფერ კანონ-პროექტებს შეიტანენ. დასასრულ დეკლარაციაში ნათქვამია, რომ სკუპშჩინა იმედია მას მხარს დაუჭერს ყველა ამის განხორციელებაში.

პარიზი. სათემო საბჭოში განიხილეს საკითხი დაარქვან პარიზის ერთ ქუჩას ფერერას სახელი და იშვილონ მისი შვილის შვილები. სენის პრეფექტმა წინააღმდეგობა განაცხადა და საბუთათ მოიყვანა პიშონის განცხადება სენატისადმი ფერერას შესახებ. წინადადება უარყვეს 40 ხმით წინააღმდეგ 34 ხმისა. საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭოს ყველა წევრები სამსახურს თავს ანებებენ.

ლონდონი. დეპუტატთა პალატა. ირლანდიის აგრარული ბილლი მიღებულ იქნა სერიოზულ ცვლილებებით, რომლებიც ლორდებმა შეიტანეს. სტატს-სეკრეტარის ამხანაგმა ლორდმა კრიუმ კამათის დროს განაცხადა, რომ ფინანსიურ შესწორებებს განსაკუთრებული არსებითი ხასიათი არ აქვთ, მაგრამ ზოგიერთი სხვა დადგენილებები და დამატებები ბილლის წინანდელ ტექსტზე სავსებით ამახინჯებენ მის ხასიათს. დიდათ სერიოზულია, რომ ბილლი რადიკალურათ შეიცვალა, მაგრამ კიდევ უფრო გასაკვირველი ის არის, რომ დებატებში მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ მარტო ირლანდიის პერებმა. ლორდმა ლანსდოუნმა განაცხადა, რომ ბილლი ეხლანდელი ფორმით უფრო შეესაბამება ირლანდიის მიზანს, რომ ირლანდიის საქმეთა სტატს-სეკრეტარი ვირრელი წინადადებას მისცემს საზოგადოებათა პალატას უარყოს ყველა დამატებები ზედა პალატის, როცა ბილლი დაბრუნდება.

ვენა. დეპუტატთა პალატა. ფინანსთა მინისტ. შეიტანა 1910 წ. ბიუჯეტი და განაცხადა, რომ ქვეყნის ფინანსიურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ საჭიროა ახალი გადასახადების შემოღება. პალატის წინააღმდეგობის გამო მთავრობამ უარი სთქვა ლუდზე გადასახადის შემოღებაზე, მაგრამ მოითხოვს შემოღებულ იქნას სხვა გადასახადები, რომლების შესახებ კანონ-პროექტები უკვე წარდგენილია. მინისტრმა განაცხადა მინერალურ წყლებზე გადასახადის შემოღების, ღვინის გადასახადის რეფორმის და სპიჩკის მონოპოლიის შემოღების შესახებ და აღნიშნა, რომ 257 მილიონი კრონი, რომელიც საჭიროა ჯარისა და ფლოტის საჭიროებისთვის, უნდა დაიფაროს სესხით.

რუსეთი

თავ. იტოს მოკვლა.

ხარბინი. დილის 9 საათზე მოვიდა პუ არა სადგურზე თავადი იტო, ფინანსთა მინისტრ კოკოვცევთან და სხვებთან ერთათ ვაგონიდან გამოვიდა და მიუახლოვდა მოქალაქეთა უცხოეთის ელჩების ერთ ჯგუფს. უცბათ ვიღაცამ ზურგს უკან რამდენჯერმე რევოლვერი დაახალა და სასიკვდილოთ დასჭრა, მსუბუქათ დაიჭრა სამხრეთ-მანჯურიის რკინის გზების უფროსი ტანაკა, მძიმეთ—იაპონიის გენერალური ელჩი კავაკამი და მსუბუქათ სასახლის მინისტრის პირადი მდივანი მორი. მკვლელი დაიჭირეს, მან თავის თავს კორეელი უწოდა და განაცხადა, რომ მკვლელობა თავის სამშობლოს გულისთვის ჩაიდინა. ის სპეციალურათ მისულა თავადის მოსაკლავათ. აგრეთვე განაცხადა, რომ კორეიაში ყოფნის დროს იტომ რამდენიმე მისი ახლობელი დაახვრეტინა. ეჭვი არაა, შეთქმულობა მომზადებული იყო. სადგურ ციცზიაგოზე გუშინ რუსის პოლიციამ დააპატიმრა სამი საეჭვო კორეელი ბრაუნინგებით. მკვლელობის აცდენა შეუძლებელი იყო, რადგან გენერალურმა ელჩმა კავაკამიმ რკინის გზის ადმინისტრაციას სთხოვა თავისუფლათ გაეშვათ სადგურზე ყველა იაპონელები. მკვლელი გარეგნობით ძნელათ განსხვავდება იაპონელისაგან. ყველა რუსები, რომლებიც იტოს ახლდენ, განსაცდელში ჩავარდენ. ფინანსთა მინისტრი იტოს გვერდით იყო ამ დროს, მაგრამ უვნებლათ გადარჩა. განსვენებულს დღეს გვირგვინები დაადეს ფინანსთა მინისტრმა და რკინის გზის სამმართველომ. გვამს სამხრეთისკენ გაგზავნიან. გზებზე დიდის პატივისცემით ეგებებიან.

ხარბინი. სამი სასიკვდილო ჭრილობის გამო იტო ოცი წუთის შემდეგ გარდაიცვალა. 11 საათსა და 40 წუთზე მიცვალებული სამხრეთისკენ გაასვენეს. კუანჩენძამდე საპატიო ყარაული აცილებს. გამოირკვა, რომ გუშინ რუსის პოლიციის მიერ სადგურ ციცზიაგოზე დაჭერილი სამი კორეელი გამოტყდა, რომ მოვიდენ იტოს მოსაკლავათ.

ქერჩი. დიდი წვიმებისა და ქარის გამო ნიაღვარმა სულ წალეკა ყველაფერი, მცხოვრებლებმა სახლის სახურავებს შეაფარეს თავი. ბევრგან სახლი დაზიანდა.

სარატოვი. კელდერის აფთიაქის საწყობში ცეცხლი გაჩნდა. ბენზინის ხუთი ჭურჭელი აფეთქდა. მძიმეთ დაშავდა ოთხი ცეცხლის მქრობელი, მსუბუქათ დაიწვა ხუთი ცეცხლის მქრობელი და ბოქაული. ცეცხლი ჩააქრეს.

პეტერბურგი. დუმის ფრაქციების წარმომადგენლების თათბირმა შეიმუშავა სამუშაო პროგრამა. მიწების მოწესრიგების შესახებ კანონ-პროექტის განხილვის შემდეგ განიხილავენ კანონ-პროექტებს პირობით დასჯის თანამდებობის პირთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის, სამსახურში დანაშაულობის ჩადენის დროს, პიროვნების ხელშეუხებლობის, განსაკუთრებულ წესების, ადგილობრივ სასამართლოების გადაკეთების შესახებ და პროფესიონალურ, კავშირების გენერალ დუმბაძის უკანონო მოქმედების, ურალის სამთო ქარხნების და რუსთა კავშირის შესახებ შეკითხვებს.

ბრიანსკი. დაიწვა 5 ხე-ტყის საწყობი. ზარალი 300,000 მან.

მორშანსკი. ქალაქის განაპირა სოფელში დაიწვა გლეხების 30 სახლ-კარი. გლეხს უნდოდა შვილები გადაერჩინა და სასიკვდილოთ დაშავდა. დაიწვა მრავალი მსხვილ და წვრილ ფეხი საქონელი.

ვილნო. დასავლეთ მხრის აზნაურ დოტგელ თათრებმა მთავარ საბჭოში შუამდგომლობა აღძრეს მომავალ ერობაში ისინი რუს ნაციონალისტების სიაში ჩარიცხონ.

რიგა. ვეროვსკის მაზრაში ყალბი ფულების ქარხანა აღმოაჩინეს. დაიჭირეს ოთხი კაცი.

პეტერბურგი. ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ ნება დართო მოწვეულ იქნას სამხრეთ-რუსეთის სამთო მრეწველთა სიეზდი 23 ნოემბერს ხარკოვში და ბაქოში, 30 ნოემბერს ნავთის მწარმოებელთა სიეზდი.

ნიკოლაევსკი 12 სექტ. მთავარ ქუჩაზე ხუნხუზები თავს დაესხენ იაპონელის სათუბის მაღაზიას. მოკლეს ორი იაპონელი და პატარა ქალი. მძიმეთ დასჭრეს იაპონელი ქალი, ხუნხუზები გაიქცენ.

მოსკოვი. დაიჭირეს შეერთებულ ბანკის ყველა თავდამსხმელნი.

ვერხოტური. საერობო კრებამ გადასწყვიტა შემოიღონ საყოველთაო სწავლა. ყოველ წლივ გახსნიან 18 სკოლას.

ოდესა. გაიხსნა მისიონერთა სიეზდი.

ჩერნიგოვი. მგლინსკის მაზრის სოფელ ვისოკიში ცოფიანმა კატამ 31 გლეხი დაკბინა. დაკბენილები კიევში გაგზავნეს.

კიევი. ბელგოროდში არქეოლოგებმა მიწის თხრის დროს აღმოაჩინეს 1197 წელს აშენებული ეკლესიის ნანგრევები.

პეტერბურგი. გაზ. „ფინლიანდიას“ რედაქტორი იგელსტრემი გრადონაჩალნიკმა 1000 მან. დააჯარიმა—„რაშია რუსეთის ღირსება“ და „მიმოხილვის“ მოთავსებისთვის.

ადგილობრივ მეურნეობის საბჭოს საზოგადო საკრებულომ, რომელიც იხილავს საერობო დებულების დასავლეთ გუბერნიებზე გავრცელების პროექტს, 29 ხმით, წინააღმდეგ 12 ხმისა გადასწყვიტა, რომ კანონში აღნიშვნა იმ ნიშნების, რომლებითაც ესა თუ ის პირი რუსის თუ პოლონეთის კურიას უნდა მიეწეროს, ზედმეტია. ასეთი ნიშნები ინსტრუქტიულ წესით უნდა აღინიშნოს. შემდეგ საკრებულომ მიიღო პროექტში აღნიშნული მიწის ცენზი—15,000 მან.

ხ ო ლ ე რ ა.

პეტერბურგი. ხოლერით ავათ გახდა 22, მოკვდა 7, ავათ არის 245.

ჩერნიგოვი. ოსტერსკის მაზრაში ერთი კვირის განმავლობაში ავათ გახდა 12, მოკვდა 2, ოსტრაში 1, სოდენში 23.

პეტერბურგი. რადგან ხოლერა იკლო, სანიტარულ-აღმასრულებელმა კომისიამ დაადგინა შეამციროს დროებით პუნქტების ექიმების და დეზინფექტორების რიცხვი.

საგუბერნიო თათბირი ერობის შესახებ.

მეცხრე სხდომა, 12 ოქტომბერი.

კრება გაიხსნა 7-ნახევარ საათზე ბ. ლოხინო-ლოზინსკის თავმჯდომარეობით. დღის წესრიგში შეტანილია სამი კითხვა: 1. ერობების მოღვაწეობის კონტროლი 1864 წლის საერობო დებულების ძალით უნდა ხდებოდეს შესწორებებით, 2. თფი-

ლისის გუბერნიის მაზრების ხელ-ახალი განაწილება და 3. ზაქათალის ოლქის შესახებ. კრების გახსნისათანავე სიტყვას იღებს **თ-დ. გურამოვი** ერთი ჯგუფის სახელით, რომელიც უმცირესობაში დარჩა წვრილი საერობო ერთეულებისა და საარჩევნო ცენზის საკითხების გადაჭრის დროს, შემომაქვს განსაკუთრებული აზრი და ვითხოვ ეს აზრი თათბირის დადგენილებებთან ერთათ წარედგინოს სადაც ჯერ არს. **ალ. ხატისოვი**. მე მოვითხოვ მიღებულ იქნას აგრეთვე განსაკუთრებული აზრი ერთი ჯგუფისა ქ. თფილისის თფილისის სამაზრო ერობაში დატოვების გამო.*) **თავმჯდომარე**. მე თანაბარის ყურადღებით მოვეპყრობი ორივე განცხადებას და თათბირის დადგენილებებთან ერთათ წარვუდგენ ნამესტნიკის საბჭოს. ეხლა საკითხია მთავრობის კანტროლის შესახებ. ჩვენ ამ კითხვაში შეგვიძლია შევეხოთ მხოლოდ საკანტროლო ორგანოებს, თუ რანაირი უნდა იყვენ ისინი და არა არსებითს საგანს კანტროლისას. მომხსენებელია **გ. გვაზავა.** საერობო ორგანიზაციები, როგორც არა ერთხელ თქმულა აქ, არის სახელმწიფოს ნაწილი, მას ერთგვარი უფლება აქვს მინიჭებული. ამ რეფორმით სახელმწიფო უფლების ნაწილი გადაეცემა თვით მცხოვრებლებს. ამავე დროს არსებობს სახელმწიფოებრივი ძალაც. იგი მცხოვრებთათვის თავის უფლების ნაწილის გადაცემით თავის არსებობაზე უარს არ ამბობს, პირიქით, ამნაირათ ორი ძალაუფლების მქონე ორგანოები ჩნდება. მათ შორის მოსალოდნელია და აუცილებელიც კონფლიქტები და ხშირი შეჯახებები. ამიტომაც საჭიროა მათი განსაზღვრულ კალაპოტში ჩაყენება. ამიტომ სექციამ დაადგინა: 1. მთავრობის ორგანოს შეუძლია შეაჩეროს ერობის დადგენილება მხოლოდ მაშინ, როცა ის კანონს ეწინააღმდეგება. შეჩერების უფლებას არ აძლევს მთავრობის ორგანოს არც სახელმწიფოებრივი მოსაზრება და არც ის, თუ რამდენათ სასარგებლოა დადგენილებაში მოყვანილი საშუალება. 2. საგუბერნიო საქმეთა საკრებულო გაუქმებულ უნდა იქნას. 3. საერობო მოხელენი პასუხს აგებენ მხოლოდ საერობო დაწესებულებათა წინაშე და მათზე შესული საჩივრები ამ დაწესებულებათა კომპეტენციას შეადგენს. ამრიგათ, ჩვენ ვუბრუნდებით 1864 წლის დებულებას. **გ. თუმანოვი.** ეს საკითხი ირჩეოდა სახელმწიფო დუმის კომისიაში და იქ საჭიროთ სცნეს ისევ 1864 წლის დებულებას დაუბრუნდენ. ჩვენ კი ადგილობრივი პირობებიც გვაიძულებენ ასე მოვიქცეთ. მაგ. გზების საქმე ჩვენში სრულიათ მოუწყობელია და მათი გაყვანის საქმეში ხელის შეშლა შეუძლია საკანტროლო ორგანოს, თუ მან ეს სასარგებლოდ არ დაინახა. ამიტომაც იყო, რომ სექციამ მიიღო მოხსენებული დადგენილება. **ივ. ჯაბადარი.** მე ერთი დამატება უნდა შემოვიტანო. 1864 წლის დებულებას მხედველობაში მხოლოდ სამაზრო და საგუბერნიო ერობები აქვს, ჩვენ კი ეხლა წვრილი საერობო ერთეული მივიღეთ. ამიტომ საჭიროა ამ ერთეულებს მიეცეთ უფლება მთავრობის ნებადაურთველათ შეკრებისა. მოხსენებაც და ჯაბადარის დამატებაც მიღებულ იქნა ერთხმათ.

მაზრების განაწილების შესახებ მოხსენებას კითხულობს **თავ. აფხაზი.** ამ საკითხის შესახებ სექციას ქონდა მსჯელობა და დაადგინა განსაკუთრებით იქნას განხილული საერობო რეფორმასთან დამოუკიდებლათ და განაწილების პროექტიც შეიცვლება. ამ განაწილების საშუალებით ჩვენ გვექნება 9 მაზრის მაგიერ 8. ამავე დროს ისინი უფრო უზრუნველ ყოფილი იქნებიან, საკმაო ბიუჯეტი ექნებათ და არსებობაც გაუადვილდებათ მით უმეტეს, რომ თფილისი მალე გამოეყოფა მაზრას და ამ უკასასკნელის არსებობა ძნელი იქნება, თუ მას ახალი ნაწილი არ შემოვუერთეთ.

ძებნიაური. (გლეხი). თიონეთის მაზრის განაწილებას წინეთაც ფიქრობდა მთავრობა. ჩემი აზრით ასეთ ზომა სარგებლობას ვერ მოგვიტანს. ჩვენს მაზრაში არსებობს ერთგვარი კულტურა და მეურნეობა და მისი გათიშვა ორათ მავნებელი იქნება. რაც შეეხება საშუალებას, ჩემის აზრით აქ საშიში არა არის რა. ჩვენ შეგვიძლია ვიქონიოთ ორმოციათასიანი ბიუჯეტი და ერობასაც კარგათ შევინახავთ. **ა. ქალანთარი.** ეს საკითხი უდროვოთ მიმაჩნია. **გ. გვაზავა.** ჩვენთვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს თუნდაც დამახინჯებული ერობაც. საკითხი მაზრების ხელ ახალი განაწილების შესახებ სწორეთ ასეთ ხელის შემშლელ საგნათ მიმაჩნია და ამიტომ მას ნუ განვიხილავთ. მისი გადაჭრა მომავალ ერობებს მიენდოს. **ჯანდიერი.** კითხვა სერიოზულია და გაფრთხილებით უნდა მასზე მსჯელობა. **მ. გედევანოვი.** თუ ეს საკითხი შეაფერხებს საერობო რეფორმას, იმ შემთხვევაში უარვყოთ ის. თუ კი ერთ დროულათ შეიძლება ორი საკითხის გარჩევა მით უკეთესი. ამ საკითხის შორს გადადება არ ღირს. **აფხაზი.** თფილისის გამოყოფა ექვს გარეშეა, რადგან ამის შესახებ კანონი მიღებული იქნება სახელმწიფო დუმაში. **ა. ხატისოვი**. ამ საკითხში მე სრულიათ ვეთანხმები გ. გვაზავას. მართლაც, მას შეუძლია დააგვიანოს რეფორმის შემოღება და ამიტომ მის განხილვას ჩვენ ნუ შევუდგებით, მით უმეტეს, რომ ეს კითხვა პრინციპიალურ კითხვას არ წარმოადგენს. **თავმჯდომარე** *) „დასახული მაზრების განაწილება ყურადღების ღირსია, მაგრამ მისი მოხდენა არ უნდა იქნას შეკავშირებული ერობის შემოღების საკითხთან". მიღებულ იქნა ერთხმათ. ზაქათალის ოლქის შემოერთების შესახებ **თ-დი აფხაზი:**—ზაქათალის ოლქის უფროსმა გუბერნატორს თხოვნით მიმართა ხსენებული ოლქი თფილისის გუბერნიას შეუერთონ და ისეთივე საერობო დაწესებულებები შემოიღონ იქ, როგორიც თფილისის გუბერნიაში იქნება, თუ აქ ასეთი ერობის შემოღება შეუძლებელი იქნა, იმ შემთხვევაში ოლქის უფროსის აზრით საკმარისი იქნება ისეთი ერობა შემოიღონ, როგორიც დასავლეთ გუბერნიებისათვის მუშავდება **გამზატ-ბეგ-კაბულოვი-შირვანსკი.** (ზაქათალელია) თათბირის ყველა დადგენილებები მისაღებია ზაქათალის ოლქისთვის მხოლოთ ერთის შესწორებით. თფილისის გუბერნიისათვის ჩვენ მივიღეთ სამ-სართულიანი ერობა. ზაქათალის ოლქში კი, ორსართულიანი ერობაა შესაძლებელი—წვრილი საერობო ერთეული და საოლქო ერობა. ჩვენი ერობა თფილისის გუბერნიის ერობას არ უნდა ემორჩილებოდეს. **ყარდაშევი.** (ზაქათალელი) კითხულობს ზაქათალის რუსეთთან შეერთების ისტორიას და შესაძლებლათ არ სთვლის მისს თფილისის გუბერნიასთან შეერთებას. თხოულობს შექმნილ იქნას ცალკე საოლქო ერობა. **აფხაზი**. ჩვენ არ შეგვიძლია მხედველობაში მივიღოთ კაბულოვისა და ყარდაშევის მოსაზრება, რადგან ისინი ოლქის წარმომადგენლები არ არიან. შემოერთება ოლქის კი საჭიროა. **ვესელოზოროვი**. თდ. აფხაზი უმართლოა, როცა ამბობს კაბულოვს და ყარდაშევს არ დაეჯერება. თუ მათ არ დაეჯერება, მით უფრო არ დაეჯერება თდ. აბხაზს. **თავმჯდომარე** კითხულობს ფორმულას: „თათბირი არ შედის საკითხის განხილვაში, რადგან მას ხელთ არ აქვს ოლქის არჩეული წარმომადგენლების შეხედულება საგანზე." ფორმულა ერთხმათ მიიღეს. თდ. პ. თუმანიშვილი და ხატისოვი მადლობას უცხადებენ თავმჯდომარეს. თავმჯდომარე ლოზინო-ლოზინსკი მადლობითვე უპასუხებს.

კრების დახურვის შემდეგ ექიმი ქალი საგარდოპოსერბსკაია ქალების სახელით მადლობას უცხადებს კრებას—ქალებისათვის საარჩევნო უფლების მინიჭებისათვის და გუბერნატორს ამ საკითხის დასმისათვის.

*) გურამოვმა და ხატისოვმა ხუთი დღის განმავლობაში უნდა წარადგინონ წერილობით ეს აზრი სადაც ჯერ არს.

*) კითხულობს ფორმულას.

შთაბეჭდილებანი

VI.

საგუბერნიო საერობო თათბირი დასრულდა. რა აკეთა თათბირმა. რა კითხვები გადაწყვიტა და როგორ, რომელი ჯგუფი რა თვალსაზრისით ხელმძღვანელობდა კითხვის ასე თუ ისე გადაწყვეტის დროს და რამდენათ შეეფერება მიღებული რეზოლიუციები ხალხის ფართო ინტერესებს,—ამას ჩვენ გავარჩევთ ახლო მომავალში. ახლა კიდევ ორიოდე სიტყვა არჩევნების შესახებ. როგორც ვწერდით, წინდაწინ საარჩევნო ცენზის, ხოლო ბოლო სხდომაზე ორი კურიის მიღებით, მემამულენი და მათი ნაფიცი დამცველები თვით გახდენ თავის დაგებულ მახის მსხვერპლი. ჩვენ კიდეც გვიკვირდა, რომ ორი კურიის მიღების დროს მათ არავითარი წინადადება არ წამოაყენეს. ალბათ, მაშინ არ მიუციათ თავისთვის ანგარიში, თუ რა მოხდა. და ეს რომ ასეა, ამას სხვათა შორის ამტკიცებს თ. გურამოვის წინადადება, რომელიც მან შემოიტანა შემდეგ სხდომაზე.

რადგან წვრილი საერობო ერთეულების და საარჩევნო ცენზის გადაჭრის დროს--ამბობს გურამოვი—ჩვენ უმცირესობაში დავრჩით, ერთი ჯგუფის სახელით შემომაქვს განსაკუთრებული აზრი და ვითხოვ ეს აზრი თათბირის დადგენილებებთან ერთად წარდგენილ იქნეს სადაც ჯერ არს. ვინც თვალ ყურს ადევნებდა თათბირის წევრთა ჯგუფების მოქმედებას, მისთვის ასეთი წინადადება მოულოდნელი არ იქნება. ორი კურიის მიღებით, სოფლის კურიაში ერთად მოყვენ გლეხები და მემამულენი. ესენი ერთ საერთო კრებაზე ირჩევენ ხმოსნებს. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ მიღებული რეზოლიუციის თანახმათ ასეთ არჩევნებში მონაწილეობას იღებს ყველა, ვისაც რაიმე უძრავი ქონება აქვს, ვინც იხდის საერობო გადასახადებს—ექვს გარეშეა, რომ მემამულე ხმოსნები სამაზრო და საგუბერნიო ერობებში სულ უმნიშვნელო პროცენტი იქნება.

როგორ მოხდა ეს?

სრულიად მოულოდნელათ. ყოველივე ცდა იქით იყო მიმართული, რომ მემამულენი უმრავლესობაში ყოფილიყო, ამისთვის იყო, რომ ასე თავგამოდებით იცავდენ 3 ივნისის კანონს და ამდენი შრომა დახარჯეს კურიალური არჩევნების გასაყვანათ, მაგრამ ბოლოს, ასე მოულოდნელათ, თითქოს თავის თავათ, ისინი „ბრძოლიდან" დამრცხვებულნი გამოვიდენ და უმცირესობაში მოყვნენ. და ეს იგრძნეს მხოლოდ მეორე დღეს და აკი არ დააყოვნეს შეეტანათ „განსაკუთრებული აზრი."

მემამულეებთან ერთად უმცირესობაში მოხდენ მოქალაქენიც, რადგან მიღებული რეზოლიუციის თანახმათ მათი რიცხვი საერთო რიცხვის ერთ მეექვსედს არ უნდა აღემატებოდეს. ამ წინადადების ავტორი მემამულეთა ჯგუფია. მათ სურდათ ჯერ ქალაქი მოეშორებიათ თავიდან, როგორც საშიში კონკურენტი, ხოლო შემდეგ სამი ივნისის კანონის მიღებით თვით დარჩენოდათ უპირატესობა, მაგრამ აქ, როგორც ვთქვით, მოულოდნელი აბრუნდი მოხდა. ორი კურიის მიღებამ მთელი კვირის ნაქსოვი ბადე მიგლიჯ-მოგლიჯა და უპირატესობის მსურველნი უმცირესობაში დასტოვა.

აღსანიშნავია გლეხების პოზიცია ამ კითხვაში: როცა მემამულენი ქალაქის წინააღმდეგ იბრძოდენ, მათ მხარი დაუჭირეს გვაზავას, ხოლო როცა ქალაქის წარმომადგენლებმა კურიალური არჩევნების წინააღმდეგ გაილაშქრეს, გლეხებიც მათ მიემხრო. ამ რიგათ, გლეხებმა მემამულების ხმებით შეზღუდეს ქალაქის ხმოსანთა რიცხვი, ხოლო ქალაქის წარმომადგენლების ხმებით—მემამულეების ხმოსანთა რიცხვი, და ამ რიგათ, უპირატესობა დაინარჩუნეს. თუ რამდენათ სასურველია ასეთი მდგომარეობა—ეს სხვა კითხვაა, რასაკვირველია, მარა ის კი ფაქტია, რომ მომავალ ერობებში დიდი უმეტესობა, თანახმათ მიღებული რეზოლიუციებისა, ეყოლება გლეხებს.

ქალაქის ხმოსნების რიცხვის შემცირების შესახებ საკუთარი აზრი შეიტანა აგრეთვე ხატისოვმა და ითხოვა წარდგენა სადაც ჯერ არს.

აღსანიშნავია, რომ ბ. ხატისოვი როგორც გამომხატველი ქალაქის ბურჟუაზიის ინტერესების, როცა მემამულეების ინტერესების წინააღმდეგ იყო დავა, უკიდურეს დემოკრატობამდის მიდიოდა და გლეხებთან ერთად იყო. ხოლო, როცა ბურჟუაზიის და გლეხების ინტერესები ასე თუ ისე ერთი მეორეს შეეჯახებოდა, ისიც შორდებოდა გლეხებს. ასე რომ, თათბირზე, როგორც მოსალოდნელი იყო, ნათლათ იჩინა თავი ფეოდალურმა და ბურჟუაზიულმა ინტერესებმა და მათი შესაფერი იდეოლოგებიც აღმოჩნდენ. რაც შეეხება გლეხებს, ისინი, როგორც გრდამავალი კლასის წარმომადგენელნი და მუდამ აქეთ-იქით მორწიანე, ხან ერთს ემხრობოდენ, ხან მეორეს, მარა მიუხედავათ ასეთი დროგამოშვებით—ხან ერთის და ხან მეორის მომხრეობისა—ყველაფრიდან სჩანდა, თუ როგორ უნდობლათ უყურებენ ისინი ერთსაც და მეორესაც. ამას ხედავდენ თვით ამ ჯგუფების ბელადებიც და ამიტომაც იყო, რომ სხდომის დახურვის შემდეგ გამართულ ვახშამზე,—ერთი მხრით პ. თუმანოვი, ხოლო მეორე მხრით ხატისოვი გლეხებს სიტყვებში ეფიცებოდენ და აჯერებდენ, რომ ისინი მათი ერთგული დამცველებია, რომ მათ გულს უკლავს ამგვარი უნდობლობა გლეხებისა და სხვა. გლეხები კი ამ „სიყვარულზე ახსნას" სიჩუმით უპასუხებდენ; მარა შეცდომა იქნება, რომ ეს სიჩუმე თანხმობის ნიშნათ ჩაითვალოს. ასე დასრულდა საგუბერნიო საერობო თათბირი.

გალიორკა.

ახალი ამბები

—

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოება. უკრაინელ წიგნის გამომცემელთა ამხანაგობამ „ჩას"-მა თხოვნით მიმართა ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობას, რათა გამგეობა დაეხმაროს მას ქართულ ნაწარმოებთა გამორჩევაში და მათ ქართულიდან რუსულათ გადათარგმნაში.—წ. კ. საზოგადოების ქუთაისის განყოფილებიდან გამგეობამ მიიღო სვანეთში შეკრებილი სხვადასხვა ნივთები.

✦ **გასამართლება.** 12 ოქტომბერს, თფილისის პალატის სესიამ წოდებათა წარმომადგენლების თანდასწრებით ბათუმში გაარჩია ალფეზ კვაჭაძის და სოლომონ და ერასტო ურუშაძეების საქმე. მათ ბრალდებოდათ სოციალდემოკრატიული პარტიის ორაგვის ორგანიზა-

წერილები პეტერბურგიდან

I.

სახელმწიფო დუმის სოც.-დემ. ფრაქციის სხდომა.

ზოგი წევრი სოც.-დემოკრატ. ფრაქციისა უკვე ჩამოვიდა პეტერბურგში. ამ ხანათ აქ იმყოფებიან ბელოუსოვი, პოკროვსკი, კუზნეცოვი და ეგოროვი. პოკროვსკი და ბელოუსოვი საბიუჯეტო კომისიაში არიან. ამ კომისიამ ათ ამ თვეს უკვე დაიწყო მუშაობა. კუზნეცოვს სხვათა შორის დავალებული აქვს მოამზადოს მუშათა კანონ-პროექტის საკითხში, რომელიც შეეხება უბედურ შემთხვევათაგან დაზღვევას. ეგოროვმა იჩქარა ჩამოსვლა, რადგან მას დაავალეს აქ ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროში გაეგო, თუ რა მდგომარეობაშია ზოგიერთი საკითხი ურალის რაიონის მუშების ცხოვრებიდან.

25 სექტემბერს მოხდა კრება დასახელებულ დეპუტატებისა ზოგიერთ მცოდნე პირთა თანდასწრებით.

კითხვა დაისვა იმის შესახებ, თუ რაში უნდა გამოიხატოს ფრაქციის უმახლობელესი ნაბიჯები სახელმწ. დუმის გახსნისთანავე.

გამოირკვა ორი, ერთი მეორეს წინააღმდეგი აზრი.

სანამ განსაზღვრულ კითხვებს შევუდგებოდეთ, საჭიროა ფრაქციამ მსჯელობა იქონიოს არსებულ კითხვებზე, დღევანდელ მომენტზე, დააფასოს ორი წლის განმავლობაში მომხდარი ცვლილებები, მიმდინარეობანი, რომელნიც არსებობენ დღეს მუშათა პარტიაში, არჩევნები დამატებითი და ყოველივე ის, რაც გამოირკვა ამ არჩევნებზე და შემდეგ შევუდგეთ კონკრეტიულ საკითხებს. ასეთი აზრის იყვენ ერთნი.

ერთი რომ, ფრაქციის უმცირესი ნაწილია სხდომაზე. მეორე, ჯერ არ მოგვისმენია მოხსენებები სხვადასხვა კუთხეებიდან; ამიტომაც უმჯობესია განვიხილოთ უახლოესი საკითხები, ხოლო საზოგადო მსჯელობა გადაიდვას შემდეგისთვის, ამბობდენ მეორენი.

მოკლე კამათის შემდეგ მიიღეს მეორე წინადადება.

კონკრეტიულ კითხვათა შორის კრება შეჩერდა შეკითხვებზე. ფრაქციამ საჭიროთ დაინახა დუმის პირველ სხდომებზევე შეიტანოს შეკითხვები: ა) ლანდეზენ-გარტინგ-გეკელმანის და ჟუჩენკო-გენგროსის შესახებ, ბ) ძირითად კანონების მე-96 მუხლის უკანასკნელ განმარტების შესახებ, გ) შესახებ ცირკულიარულ—განკარგულებათა, რომელნიც გამოსცა ბოლო ხანს ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ, დ) ურალის მუშათა უკიდურესი მდგომარეობის შესახებ და ე) ყუბანის ოლქის გლეხთა შესახებ.

—

რუსეთის მოქალაქე, თუ თქვენც დაეთანხმებით, სწორეთ რომ ერთგვარი ფილოსოფოსი გახდა და ეს არც გასაკვირია: რა არ ნახა მისმა თვალებმა და არ გაიგონა მისმა ყურებმა უკანასკნელი ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში. მას ნახული ყავდა თავის ორივე ლამაზი თვალებით სახელმწიფო, რომლის უძლიერესი ვერც მას და ვერც სხვას ვერ წარმოედგინა. მან ერთ მშვენიერ დღეს თავისი თვალებით დაინახა, თუ რა დღე დაადგა ამ სახელმწიფოს შინაურების თუ გარეშეების წყალობით...

მან ნახა, რომ რუსეთის ხალხი, ეს ყოველ დროის მონა, უეცრივ ადგა და ტიტანისებურ ბრძოლაში ჩაება. რუსეთის მოქალაქემ ნახა, როგორ ჩააქრეს ანთებული ალი მოძრაობის, როგორ ჩავარდა კალაპოტში აზვირთებული ზღვა, ხალხის მისწრაფება—აღმაფრენათა. დიახ, მან ნახა და იგემა რეაქციის ჯოჯოხეთური მომწამლავი, სულიან-ხორციანა წამწყმედი, გამათახსირებელი ატმოსფერა. მან წინეთაც იცოდა, წინეთაც გრძნობდა არსებული ცხოვრების სიდუხჭირეს—მაგრამ შედარებით იმასთან, რაც მან ნახა და რასაც ნახულობს დღეს, მონაგონია, ეს სათამაშო—სახუმარო რამაა.

ვინ არ იცოდა, რომ კაცის პიროვნება წინეთაც არ ფასობდა ძვირათ რუსეთში, მაგრამ რუსეთის მოქალაქემ მხოლოთ ახლა დაინახა, სანამდის შეიძლება თურმე კაცთა საზოგადოებაში დაეცეს ფასი პიროვნების, კაცის, იმ არსების, რომელსაც ქმნილებათა მეფეს ეძახიან...

მაგრამ მხოლოდ დღეს ნახა ამ მოქალაქემ... მაგრამ რამდენი რამ ნახა და რამდენი რამ განიცადა, რამდენ რამეს ხედავს ისეთს, რაც წინათ არც კი გაეგონა, არამც თუ ენახა! ამიტომაც იმას დღეს აღარაფერი უკვირს: ის ფილოსოფოსია, მაგრამ რუსეთის ფილოსოფოსი, რუსეთის შესაფერი ბრძენი: ის მოუცავს ინდიფერენტიზმს, რომელიც შეეფერის თავმობეზრებულ, უმიზნოთ დარჩენილ კაცს. მაგრამ ერთი საკითხი მაინც არ შორდება რუსეთის შეგნებულ საზოგადოებას.

საფრანგეთის დიდი რევოლიუციის დროს ბურჟუაზია ეკვეთა ფეოდალ-კლერიკალთა წოდებას. სიცოცხლით აღსავსე ბურჟუაზიამ სასიკვდილოთ დასჭრა ფეოდალი, თუმცა პირველს ხელში ბაჯაღლო ეპყრა იარაღათ, მეორე აღჭურვილი იყო ხმალ-კაპარჭით. ის იყო ბრძოლამ იფეთქა საფრანგეთში და აქედან ცეცხლივით მოედო მთელ დასავლეთ ევროპას და რუსეთიც შეიჭრა მეომართა რაზმებს შორის. ვინ იანგარიშებს, რამდენი ათი წლით შეაჩერა რუსეთმა კაცობრიობის პროგრესი. მთელი საუკუნის განმავლობაში ის გახდა ბჭე ძველი დაობებული ცხოვრების და სამართლიანათ დაიმსახურა საერთაშორისო ჟანდარმის სახელი.

ბოლოს ბურჟუაზიამ სძლია მოპირდაპირეთ. მესამე წოდება არარაობა იყო; ახლა ის შეიქნა ყველაფერი, გამართლდა სიეისის სიტყვა. მოსალოდნელი იყო, რომ რუსეთის მისია აქ გათავდებოდა, მისი ქომაგი და გამოსარჩლება აღარვის დასჭირდებოდა. თქვენც არ მომიკვდეთ. მას ბედმა, თუ ისტორიულმა მიმდინარეობამ, კვლავ შეუწყო ხელი და ახალი როლი არგუნა...

თქვენ, რასაკვირველია, იცით, რომ მესამე წოდებასთან (კლასთან) ერთათ დაიბადა მეოთხე წოდება (კლასი); ერთის გაძლიერებასთან ერთათ, იზარდა და გაძლიერდა მეორეც. ახლა მესამე წოდებას იგივე დღე, განკითხვის დღე დაუდგა, რაც წარსული საუკუნის დასაწყისში ადგა თავად-აზნაურობას და სამღვდელოებას. წავიდა მოხუცებაში ბურჟუაზია, მისი მოწინააღმდეგე—პროლეტარატი კი დღითი დღე ძალ-ღონით ივსება. მოხუცს შველა, დახმარება დასჭირდა და იმავე რუსეთის ბიუროკრატია მზათ დახვდა გაჭირვებულს.

მეცხრამეტე საუკუნეში ძველი ცხოვრებისათვის იბრძოდა მთელი დასავლეთი ევროპის ფეოდალურ-კლერიკალური კოალიცია (კავშირი) ამ კოალიციას ზურგს უმაგრებდენ რუსეთის ბატონები. დღეს ძველი ცხოვრებისათვის იბრძვის

ციაში მონაწილეობის მიღება. სასამართლომ კვაჭაძე დამნაშავეთ იცნო და მიუსაჯა სამუდამოთ გადასახლება, ურუშაძეები კი გაამართლა. პირველს იცავდა ნაფიცი ვექილი ი. ბარათაშვილი, ხოლო უკანასკნელთ—ი. კაჩუხოვი.

✦ **ქართული წარმოდგენა.** დღეს ქართულ თეატრში მამა დავითის ქალთა შკოლის სასარგებლოთ გაიმართება წარმოდგენა. არდგენენ ვიქ. სარდუსის მხიარულ კომედიას „აი გიდი მეგობრებო“. მონაწილეობას იღებს მთელი დასი.

✦ **თათრული გაზეთი.** ამას წინათ დახურულ გაზეთ „იფტიკატის“ ყოფილ რედაქტორის ვეზიროვის რედაქტორ-გამომცემლობით ბაქოში გამოვიდა ახალი გაზეთი თათრულ ენაზე: „სადა“ (ხმა.)

✦ **საობონიმენტო წარმოდგენები.** ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ დაადგინა კვირაში ერთხელ,—ხუთშაბათობით,—გამართოს საობონიმენტო წარმოდგენა.

✦ **მუსიკალურ-ლიტერატურული წრე.** 18 ოქტომბერს თვითმართველობის შენობაში დანიშნულია ქალაქის თვითმართველობაში მოსამსახურეთა საერთო კრება. კრება განიხილავს საკითხს ლიტერატურულ-მუსიკალური წრის მოქმედებისა და მისი კარგ ნიადაგზე დაყენების შესახებ.

✦ **სასჯელის გაუქმება.** კავკასიის უმაღლესი მთავრობის განკარგულებით ზუგდიდის მაზრის ჩაკვინჯის და კულისკარის სოფლის საზოგადოებებს უფლება მიეცათ ამიერიდან თვითონ აირჩიონ სოფლის მამასახლისები.

✦ **ექსკურსია.** 20 ოქტომბერს 1, 2, 3 და მე-4 გიმნაზიების, რეალურ სასწავლებლისა და ავლაბრის პროგიმნაზიის მოსწავლენი, რიცხვით 400 კაცამდე მიემგზავრებიან საექსკურსიოთ ქუთაისში. მათ თან ეახლებათ ყველა ამ სასწავლებლების დირექტორები და კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ნ. რუდოლფი.

✦ **სასამართლო.** ამ დღეებში ბათუმში გაირჩევა ექ. ტრიანდაფილიდის ყოფილ მოსამსახურის რომანოზ რევიას საქმე, რომელსაც სასამართლომ ექ. ტრიანდაფილიდისის მოკვლაში მონაწილეობის მიღებისათვის სამუდამო კატორღა მიუსაჯა. მას ბრალდება ტრიანდაფილიდისის სახლიდან სხვადასხვა ნივთების მოპარვა.

✦ **აფთიაქის შეგირდები.** როგორც გაზ. „ოდესკი ნოვ.“ გადმოგვცემს, მთავარ სამკურნალო სამმართველოს განკარგულება გამოუცია, რომლითაც აკრძალულია აფთიაქის შეგირდების სამსახურში მიღება. მიზეზი ის არის, რომ განზრახვა აქვთ დააარსონ სპეციალური კურსები აფთიაქის შეგირდებისათვის.

✦ **შეპყრობა.** 13 ოქტომბერს პოლიციამ შეიპყრო საგ.-გენ.-გუბერნატოროდან ადმინისტრატიული წესით გაგზავნილი და თავისი ნებით დაბრუნებული ნიკოლოზ სუკიასოვი.

✦ **უპასპორტოები.** 13 ოქტომბერს ჩხრეკის დროს მე 7 და მე 8 საპ. ნაწილში დააპატიმრეს 22 უპასპორტო.

აგენტების და ხელის მომწერთა საყურადღებოთ.

გაზეთმა „მომავალმა“ შესწყვიტა კავშირი ჟურნალ-გაზეთების სააგენტო „სორაპანთან“, რომლის წარმომადგენელია ბ-ნი მ. გაჩეჩილაძე და აგენტურა უკვე გადასცა ამიერ-კავკასიის რკინის გზის სააგენტოს იაკოვლევისას, რომლის რწმუნებულია **ვ. ა. რუკოვიჩი.**

ვისაც სურს ჩვენი გაზეთის აგენტობა პროვინციებში, უნდა მიმართოს მას შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Боржомская 5, кв. 1. В. А. Руковичу.

„მომავალი“-ს საკუთარმა აგენტებმა გაზეთი მოიკითხონ რკინის გზის შკაფების აგენტებთან.

„მომავალი“-ს რედაქცია.

✦ **დეპ. ს. ჯუღელის ოჯახობის სასარგებლოთ** მივიღეთ გერ. კაჭახიძისაგან მაღიარნი ცეხში შეკრებილი 7 მ. 35 კ. თითო აბაზი: ი. გელეიშვილი, ბ. ალუბარაშვილი, დ. ჯინჭარაძე, ს. ჩომახაშვილი, ი. ნიკურაძე, ნ. თსკოპელი, გ. ინასარიძე, ს. გაბუნია, გ. დვაბერიძე, ა. გორდეზოვი, ი. ქარიძე, თ. ვაშაკიძე, შ. ზარაგიძე, პ. თეგზაძე, პ. ვართაზაროვი, ა. ნიაზოვი, თ. შენგელია, ვ. კასრიძე, გ. გოგსაძე, გ. გაბინაშვილი, ი. შავშიშვილი და ე. ბუაძე. ორორი შაური: პ. ფრანგიშვილი, ი. გოგსაძე, გ. გაბინაშვილი, Сероштаниковъ, პ. ალხანაშვილი, ი. ფრანგიშვილი, ბ. პარუნბეგოვი, А. Паносовъ, გ. შენგელია, ა. ჭინჭარაული, ს. მონასელიძე და კ. ფრანგიშვილი. გ. ვართაზაროვმა—5 კაპ. ექვს-ექვსი შაური: ონ. მიქაძემ და შ. მესტვირიშვილმა; რ. მშვენიერიძემ—40 კ. და დ. სუხიევმა—50 კ.

უკანასკნელი ფოსტა

სპარსეთი.

ქალთა მოძრაობა თეირანში. უკანასკნელ დღეებში სპარსეთის სატახტო ქალაქში მოულოდნელათ იფეთქა ქალთა მოძრაობამ, რომელიც ისეთი სისწრაფით მოედო თეირანის ყველა წრეებში, რომ მოსალოდნელია მთავრობის წინააღმდეგ საერთო აჯანყება.

მოძრაობის მიზეზათ ასახელებენ გაზეთ „ირანში“ მოთავსებულ წერილს, რომელიც გაკვრით ეხებოდა „ცოცხალი საქონლით ვაჭრობას“ თეირანში.

ამ დღეებში გაზეთმა უკვე დასაბუთებული წერილები დასტამბა და მინისტრ ალას-სალთანეს ბრალს სდებს ქალებით ვაჭრობაში. მინისტრის ერთ აგენტს არამხანიდან მსხვერპლი გაქცევია და იმას მოუფენია ნათელი ამ საზიზღრობისათვის. სალთანეს აგენტი დაატუსაღეს. ის ძლივს გადაარჩინეს აღელვებული ხალხის შურის ძიებას.

თეირანის მცხოვრებნი ძალიან აღელვებულნი არიან. ქალებში რევოლიუციონური მოძრაობა დღითი-დღე იზრდება. ქალები მოითხოვენ უფლებრივ გათანასწორებას მამაკაცებთან და ქალთა საზოგადო ემანსიპაციას.

მთავრობა ძალიან ცუდ მდგომარეობას განიცდის. მან ზომები მიიღო ალასალთანეს დასაცავათ, რომ აღელვებულმა ხალხმა თითონ არ გაასამართლოს გარყვნილი მინისტრი.

სასულიერო წოდება ფართოთ სარგებლობს ამ შემთხვევით და ახლანდელი მთავრობის წინააღმდეგ აგიტაციას ეწევიან. აგიტაციას მხარი დაუჭირეს მონარქისტებმა და კაზინ-რეშტში ხალხს არწმუნებენ დღევანდელ მთავრობას გადასახადი არ მისცეთო. („თ. ფ.“)

ზილი-სალთანეს დამ რუს. ქვეშევრდომოპა მიიღო. ცნობილ ზილი-სალთანეს დამ რუსეთის მთავრობის ქვეშევრდომათ გახთომა მოისურვა და თავისი გადაწყვეტილება აცნობა სადაც ჯერ იყო. რუსეთის მისიამ ზილი-სალთანეს დას აცნობა, რომ რუსეთის მთავრობას ამის წინააღმდეგ არაფერი არა აქვს. დღეიდან ზილი-სალთანეს დის ქონებას რუსეთის მისიის ყაზახთა რაზმი დაიცავს.

რუსეთი.

ისევ დუმბაძე. 6 ოქტომბერს მომხდარ მინისტრთა საბჭოს სხდომაზე ყველა მინისტრები ერთ ხმაო. აღიარებდენ გენერალ დუმბაძის გადაყენების აუცილებლობას. მათი სიტყვით დუმბაძის მოქმედების უყურადღებოთ დატოვება—მთელ კაბინეტს სახელს უტეხს და მინისტრებს უხერხულ მდგომარეობაში აყენებს. ამბობენ, სტოლიპინიც დაეთანხმება სხვების აზრს და ახლო მომავალში დუმბაძის გადაყენების შესახებ მოხსენებას გააკეთებსო.

მასწავლებლობის აკრძალვა. ლოძის სახალხო სასწავლებლების გამგეებს და მასწავლებლებს გამოეცხადათ სახალხო განათლების მინისტრის, ა. ნ. შვარცის განკარგულება. ამ განკარგულების ძალით ებრაელებს სასტიკათ ეკრძალებათ პოლონელთა შკოლებში მასწავლებლობა.

საგლეხო კურსები. იაროსლავის სამაზრო საერობო კრებებზე გადასწყვიტეს გადასდონ სამასი მანეთი თითო მაზრიდან გლეხთათვის სამეურნეო კურსების გასახსნელათ. კურსები ამ თავათ 450 კაცისათვის იქნება გახსნილი. ლექციები იქნება პურის მოყვანის, მერძეობის და მებაღეობის შესახებ.

ექს-შახი ოდესაში. ექს-შახი დღითი დღე სტოვებს აღმოსავლეთის ზნე-ჩვეულებას და ევროპიულს ეჩვევა. უკანასკნელ ხანებში შახი მნახველებს ხელს ართმევს, ეპატიჟება: დასხედითო; საუბრის დროს კითხვების მიცემის ნებას იძლევა და თვითონაც სიამოვნებით უპასუხებს, თუმცა წარსულის მოგონება ექს-შახს ძალიან უსიამოვნობას გვრის. ერთი კერძო ბინიდან შახი პოლტავის დღესასწაულსაც უყურებდა. სახლის პატრონმა შახი სადილზე მიიწვია. შახი დათანხმდა, რითაც მისი მხლებელი სპარსელები ძალიან განცვიფრებულნი დარჩენ. ამ დღეებში შახმა მიიღო ხერსონის გუბერნატორი ბატნიში და ყარაიმების მეთაური პამპულოვი.

რუსეთის ჯარები ფინლიანდიაში. როგორც დეპეშებიდან ვიცით, ფინლიანდიაში ამას წინათ მთავრობის განკარგულებით ჯარი გაიგზავნა. «ნოვ. ვრ.“ სიტყვით ფინლიანდიაში კიდევ გაიგზავნება 1 და მე-18 კორპუსები და არტილერია. კადეტების ფრაქციას აზრათ აქვს დუმაში შეკითხვა შეიტანოს მთავრობის მოქმედების შესახებ ფინლიანდიაში.

პურიშკევიჩი ახალ ჯგუფს ადგენს. პურიშკევიჩს გადაუწყვეტია შეადგინოს დუმაში „მონარქიის და სარწმუნოების დამცველთა ჯგუფი“. ჯგუფში შევლენ უკიდურესი მემარჯვენეები და მემარჯვენე მღვდლები. ჯგუფი უმთავრეს ყურადღებას აქცევს სარწმუნოებრივ და საშინაო პოლიტიკის საკითხებს.

საზღვარ-გარეთ.

ბიუჯეტის გარშემო. ბიუჯეტის გარშემო ატეხილი ბრძოლა ინგლისში თანდათან უფრო მწვავდება. მთელი ინგლისი დღეს ორ ბანაკათ არის გაყოფილი: ბიუჯეტის მომხრენი და მისი მოწინააღმდეგენი. ამ ორ მოწინააღმდეგეთა შორის ატეხილმა ბრძოლამ ზომიერების საზღვარი (ინგლისელთა დამახასიათებელი თვისება) უკვე გადალახა. ამის საუკეთესო დამამტკიცებელია ის, რაც დღეს ინგლისის გაზეთების ფურცლებზე იწერება. აი მაგ. „დეილი ტელეგრაფი“ როგორი ეპიტეტებით ამკობს ლოიდ ჯორჯს, რომლიც ბიუჯეტს იცავს: „კომუნისტი“, „იაკობინეცი“, „სანკიულოტი“, „უწყურ დემაგოგი“, „თავაშვებული ანარქისტი“, „მარატი“, „ნახევრათ ბარბაროსი და ყაჩაღთა ბრბოს მეთაური“. ყველა ეს სიტყვები გაზეთის ერთი ნომრიდან არის ამოღებული და მით მინისტრს უმასპინძლდებიან. „ჩვენ არ გადავიხდით მეხუთედს ჩვენი დიდი შემოსავლისაგან,—გაიძახიან ლორდები,—უმჯობესია გადასახადი პურსა და ხორცზე გააწეროთო“. მათი აზრით, როდესაც მდიდრებს უბრძანებენ, მცირე გადასახადი გაიღეთ თქვენი დიდი შემოსავლიდანო, ეს „უკადრობაა“, „კომუნიზმია“, „ანარქიზმია“ და „საზოგადოების განადგურებაა“. როდესაც გადასახადები გაჭირვებულ ხალხს აწევს ტვირთათ კისერზე, ეს კი „სახელმწიფოებრივი სიბრძნე“, „იმპერიალიზმი“ და „ტახტის, სარწმუნოების, საკუთრების და ოჯახის გამაგრებაა“.

მუშათა პარტია და მეფე ედუარდი. ინგლისის მუშათა დეპუტატები უკმაყოფილებას აცხადებენ მეფე ედუარდის მიერ საფინანსო კანონ-პროექტის გადაწყვეტაში ჩარევის გამო. დეპუტატები დარწმუნებული არიან, რომ მეფე ლორდების მხარს დაიჭერს და გადასახადების მძიმე უღელი ისევ შეუძლებელ მცხოვრებლებს დააწვებათ კისერზე. მუშათა პარტიაც პროტესტს ამზადებს მეფის წინააღმდეგ.

† კოტე ლეჟავა

8 ამ თვეს რკინის გზის საავათმყოფოში გარდაიცვალა კ. ლეჟავა. ის დარიბი დედ-მამის შვილი იყო. სწავლობდა თფილისის რეალურ სასწავლებელში, მაგრამ სიღარიბის გამო სწავლა აღარ დაუმთავრებია.

1898 წ. ის შევიდა რკინის გზის სამსახურში და 1908 წ. ბოლომდის მსახურებდა მასალათა მთავარ საწყობში.

1900 წელს ის დააპატიმრეს გაფიცვაში მონაწილეობის მიღებისათვის. 1094—5 წ.წ. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო მოძრაობაში, რის გამო სამსახურიდან დაითხოვეს და ციხეში ჩასვეს. რამდენიმე თვის შემდეგ განთავისუფლებულ იქნა და ისევ დიდის გაჭირვებით, ძლივს შევიდა სამსახურში. 1908 წ. ბოლოს ის სამტრედიაში გადაიყვანეს, საიდანაც რამდენიმე თვის შემდეგ გადმოიყვანეს რკინის გზის სამმართველოში.

ზაფხულში ავათმყოფობის გამო ორი თვის თავისუფლება მისცეს და სოფელში წავიდა, მაგრამ ავათმყოფობის გაძლიერების გამო ისევ თფილისში დაბრუნდა და რკინის გზის საავათმყოფოში მოათავსეს, სადაც 8 ამ თვეს გარდაიცვალა. 11-ს ცხედარი თავის ბინაზე გადაიტანეს და მისმა ნაცნობ-მეგობრებმა კუბო რამდენიმე გვირგვინით შეამკეს. გვირგვინები იყო რკინის გზის სამმართველოს ამხანაგებისაგან, მასალათა მთავარ საწყობის მოსამსახურეთაგან, რკ. გზის მთავარ საწყობის მოსამსახურეთაგან და სხვა...

ცხედარს დღეს მიაბარებენ მიწას. მას დარჩა ცოლი სამი წვრილი შვილით.

საუკუნოთ იყოს შენი ხსენება ძვირფასო ამხანაგო კოტე!.. **იასონ.**

ექიმ ტრიანდაფილიდისის საქმის გარჩევა.

(წერილი ბათუმიდან)

შარშან, 12 სექტემბერს, ქ. ბათუმში ბოროტ-გამზრახველებმა საზიზღარი საქმე ჩაიდინეს: ტყვეთ წაიყვანეს ექიმი ტრიანდაფილიდისი, მის ცოლს 30 ათასი მანეთი მოსთხოვეს ქმარის დასახსნელად და, რადგანაც ფული ვერ მიიღეს, ოთხი დღის შემდეგ მოჰკლეს ექიმი. ამ ამბავმა მთელი ხალხი აალელვა; მთელი ხალხი, განურჩევლათ ეროვნებისა და მიმართულებისა, დამნაშავეთ წყევლა-კრულვას უთვლიდა და დღესაც უთვლის.

ბურჟუაზია, მთელი ევროპის ბურჟუაზიის კოალიაცია: რუსეთის ბიუროკრატია ახლა ამ კოალიაციას უმაგრებს ზურგს და ეს კოალიაციაც დიდის სიამოვნებით და სიხარულით ეგებება გაწვდენილ ხელს. ამ რიგათ, ბიუროკრატიული რეჟიმი ამაგრებს მოხუცებულ ბურჟუაზიას და პირიქით. ერთი შეხედვით დიდი წინააღმდეგობაა, არა? მაგრამ ფაქტი ფაქტათ რჩება.. ლანდეზენ-გარტინგ-გეკელმანი თვალწინ გვყავს. გარტინგები იძულებულს გვყოფენ კვლავ დავსვათ კითხვა: საიდან შერჩა რუსეთის ოფიციალურ ნაწილს ესოდენი ძალა, როგორ არგუნა მას ისტორიამ ასეთი ახალი როლი, სად მიდის რუსეთი და როგორ გაიხსნება ის კვანძი საზოგადოებრივი ცხოვრების, რომელიც ისტორიამ გასკვნა რუსეთში. რამდენათაც ჩვენი შეკითხვა დუმაში ამ კითხვებზე შეაჩერებს რუსეთის მეტათ ახირებულათ გაფილოსოფოსებულ მოქალაქეს, იმდენათ ამ შეკითხვას დიდი ინტერესი აქვს.

—

მოგეხსენებათ, თუ რა მნიშვნელობა აქვს და ქონდა რუსეთში პასპორტს. რუსეთის მოქალაქის მოქალაქობრივობა იმაში გამოიხატება უმთავრესათ, რომ მას მუდამ თან ქონდეს და ატაროს პასპორტი. ინგლისის მოქალაქეს თავი მოაქვს ჰაბეას კორპუსით, რუსეთისას პასპორტით; ჩამოართვით პირველს ის უფლება ანუ უფლებები, რომლებიც მინიჭებული აქვს მას ჰაბეას კორპუსის—ის ძალით: ის ამის შემდეგ ინგლისელი აღარ არის, ჩამოართვით რუსეთის მოქალაქეს პასპორტი და ის დაკარგულია.—დიახ, სწორეთ პასპორტზე იყო დამყარებული რუსეთის მოქალაქობრივი ცხოვრება და, წარმოიდგინეთ საკვირველება, განმათავისუფლებელი მოძრაობის შემდეგ რუსეთს სწორეთ ეს საფუძველი გამოეცალა. რუსეთმა პასპორტი დაჰკარგა, მას დღეს უპასპორტო სახელმწიფოს ეძახიან: ბევრგან ყოფილა რევოლიუცია, რეაქცია და სხვა ამგვარები, მაგრამ არასად გარდა რუსეთისა არ მომხდარა ასეთი ამბავი: რა არის ახლა რუსეთში, რა წყობილებაა, კონსტიტუცია, მონარქია, განსაზღვრული მონარქია თუ რა არის? ვინ არის ამის მთქმელი!

რუსეთში რომ ვერ გაიგეს რა, პარლამენტის წარმომადგენლები ინგლისში წავიდენ. როგორც სჩანს, ინგლისელები დიდი პურ-მარილის ხალხი უნდა იყონ: ალბათ, კაი მასპინძლობა იყო მიზეზი, რომ მილიუკოვმა დიდი აღმოჩენა მოახდინა. აღმოჩნდა, რომ რუსეთში ნამდვილათ ყოფილა კონსტიტუცია, მაგრამ ცხოვრებაში კი არა ალალდზე, ანუ—de iure.

შარშან, თუ გახსოვთ, კადეტები სულ სხვას ლაპარაკობდენ. მოიგონეთ მაკლაკოვის სიტყვა შინაგან საქმეთა სამინისტროს „სმეტის“ განხილვის დროს. მაშინ ეს კადეტების ოქროპირი გატაცებით ამტკიცებდა: გადაავლეთ თვალი რუსეთს, რას დაინახავთ თქვენ აქ? განაპირა ქვეყნებში (окраины) კონსტიტუციას ვერ ნახავთ; იქ არსებობს ძველი ძალ მომრეობა და სხვა ასეთები, ხოლო, რაც შეეხება ცენტრს, ოხ, აქ რამდენიც გნებავსო.

ამას ლაპარაკობდა კადეტების ოქროპირი.

კანონი ლაპარაკობს: ვერც ერთი კანონი ვერ შეიცვლება და ძალაში ვერ შევა საკანონმდებლო დაწესებულების მიუღებლათ.

1907 წლის სამი ივლისის ძირითადი კანონებით ამ მუხლს წესი აუგეს და დაასამარეს, ესე იგი, კონსტიტუცია ზღაპრათ აქციეს. ოპტიმისტები მაინც თავისას არ იშლიდენ. რას ბრძანებთ: ცენტრში, აქ პეტერბურგში, კონსტიტუცია რამდენიც გნებავსთ იმდენი გვაქვსო.

შარშან ახალ სლავიანოფილების მოტრფიალე კადეტებმა განიზრახეს კრება. ამ კრებაზე პოგოდინს უნდა წაეკითხა ლექცია ნეოსლავიზმის შესახებ. რა გნებავთ, რომ აქ არ იქნებოდა: პატრიოტიზმი, პანსლავიზმი და სხვადასხვა. როგორც ხედავთ, არ იყო ასაკრძალავი. მაგრამ... მაგრამ ცაც! დაუძახეს კადეტებს: კრების ნება არ მისცეს პატრიოტებს. კადეტებს ეჭვი შეეპარათ: ბიჭოს! ვგონებთ, არც ცენტრში ყოფილა კონსტიტუციაო! კიდევ რამდენიმე მაგალითი და გაქრა კონსტიტუცია საქმით— de facto. რაღა დარჩა? დარჩა კონსტიტუცია de iure, ესე იგი ქაღალდის კონსტიტუცია, რომელიც მილიუკოვმა აღმოაჩინა ლონდონში.

მილიუკოვს, რასაკვირველია, არ დაუჯერეს: სტყუიან კადეტები, არ დაუჯეროთ მაგათ, მეტათ თაღლითები და გაიძვერები არიანო, გაიძახოდენ შავრაზმელები. მთავრობის გაზეთმა „როსსიამ“ ამცნო მილიუკოვს: ბევრს ნუ ყვირი, თუ რამ გიბოძეს, მადლობა თქვით და ხმა გაიკმიდეთ; შეიძლება კონსტიტუცია ქაღალდზე არსებობდეს, მაგრამ იცოდეთ—ეს ნებაყოფლობით მიცემული კონსტიტუციაა და არა ხალხის ძალით მოპოვებულიო. ოქტომბრისტები ჩვეულებრივათ კუდს აქიცინებდენ, მთავრობას უსმენდენ და ნათქვამს იმეორებდენ. მთავრობა კი ამ დროს თავის საქმეს აკეთებდა.

მეორე სესიის უკანასკნელ დროს (მაისში) მთავრობამ შემოიტანა სათათბიროში ასეთი კანონ-პროექტი: საზღვაო სამინისტროს კანცელარიის საიურისკონსულტო ნაწილს მიეცეს მეტი კრედიტი, ვინემ დღემდის ეძლეოდა, რადგან ვითომც ამ დაწესებულებას მოემატა სამუშაო. თანახმათ საბიუჯეტო კომისიის მოხსენებისა, სახელმწიფო დუმამ თითქმის განახევრა ის კრედიტი, რომელსაც სამინისტრო თხოულობდა და ამ რიგათ შეცვლილი მიიღო კანონ-პროექტი. გავიდა ხანი და ცა დედამიწას შეასქდა: არიქა, დუმას ითხოვენ, სტოლიპინს აგდებენ, დავიღუპეთ, ვინ ხართ მამაციო, ძახილი ასტეხეს „კონსტიტუციის მომხრეებმა“. „აი, ხომ ხედავთ სანამდის მივიდა მესამე დუმა! ის უმაღლეს მთავრობას შეეცილა უფლებებში: რა მისი საქმეა საზღვაო სამინისტროს შინაგან წყობილებას შეეხოს, ეს მონარქის პრეროგატივია და სხ., გაიძახოდენ მემარჯვენეები. ერთი სიტყვით, მეათასეჯერ დაისვა კითხვა: არის რუსეთში კონსტიტუცია თუ არა? თუ არის, სად იწყება და სად თავდება კონსტიტუციის საზღვრები, სად იწყება მონარქის უფლებები? მთავრობა ამ აურ-ზაურში თავის საქმეს აკეთებდა და მიედინებოდა სამი ივნისის გზით. ბოლოს მთავრობამ გამოაცხადა განმარტება ძირითად კანონის მე-96 მუხლისა. ამ განმარტების ძალით დუმას კიდევ უფრო შეუვიწროვდა ის უფლება სამხედრო და საზღვაო საქმეში, რომელიც მას დღემდის ქონდა. ამრიგათ, ქაღალდის კონსტიტუციასაც კიდევ დაუსვეს ერთი ხაზი.

აი რის შესახებ უნდა შეიტანოს შეკითხვა სოც-დემ. ფრაქციამ. რა მნიშვნელობა ექნება ამ შეკითხვას? ის, რომ რუსის მოქალაქე იძულებული იქნება ერთი კიდევ დაფიქრდეს იმაზე, თუ როგორ ხელოვნურათ აცლის ბიუროკრატია მას ხელიდან იმას, რაც ასე ძვირათ დაუჯდა ხალხს... **კ. ჩხეიძე**

(დასასრული იქნება)

ამ საქმის შესახებ 14 კაცი შეიპყრეს, გამოძიება ერთი წელიწადი სწარმოებდა და თოთხმეტივე ბრალდებული 2 ოქტომბერს სასამართლოს წინაშე წარსდგენ. საქმეს არჩევდა კავკასიის სამხედრო სასამართლო ქ. ბათუმში. საქმე ღია კარებში გაირჩა—ქალაქის თვითმართველობის დარბაზში. როგორც დარბაზი, აგრეთვე კარიდორები და ახლო-მახლო ქუჩები ხალხით იყო გავსებული. მთელი ბათუმი „ფეხზე იდგა“. ყველა მოუთმენლათ ელოდა საქმის დაწყებას და სასამართლოს განაჩენს; ყველა ზიზღით უცქეროდა ბრალდებულებს. ამ ჰარმონიას, ამ ერთსულოვნებას და ერთფეროვნებას არღვევდა ბრალდებულთა მშობლების და ნათესავების ჩუმი ქვითინი.

დარბაზში თავი მოეყარა მთელ ბათუმის ადმინისტრაციას—გუბერნატორიდან დაწყებული უბრალო „გოროდოვამდის“.

ტრიანდაფილიდის ქვრივი მოწმეთ იყო გამოწვეული. ის ერთიან შავებში იყო გახვეული.

ბრალს დებს სამხედრო პროკურორის თანაშემწე.

ბრალდებულებს იცავენ: სასამართლოდან დანიშნული პორუჩიკი ლიუბიმოვი, ნ. ელიავა და ივ. კაჩუხოვი.

უკანასკნელმა განაცხადა: ეს საქმე სამხედრო სასამართლოს გადასცა მისმა უდიდებულესობამ კავკასიის ნამესტნიკმა. უკანასკნელის განკარგულებაში ნათქვამია, რომ მან იხელმძღვანელა საგანგებო დაცვის წესების 26 მუხლით. ეს მუხლი კი მას არ აძლევს უფლებას ერთი რომელიმე საქმე გამოყოს სამოქალაქო სასამართლოდან და სამხედროს გადასცეს; ამ მუხლის ძალით მას შეუძლია მხოლოდ მთელი რიგი საქმეებისა წინდაწინვე განსაზღვროს, ეს რიგი გამოაქვეყნოს და მთელი რიგი გადასცეს სამხედრო სასამართლოს. თუ მან საჭიროთ დაინახა ამ საქმის სამხედრო სასამართლოსთვის გადაცემა, მაშინ მას უნდა ესარგებლა სხვა კანონით, ზემოთ აღნიშნული კანონი კი ამის უფლებას მას არ აძლევს. მიუხედავათ ამისა, მე არ ვთხოულობ საქმის გადადებას, მე მხოლოდ გთხოვთ ჩემი განცხადება სასამართლოს ოქმში აღნიშნოთო. გარდა ამისა, მე გთხოვთ სხდომა ხვალამდის შესწყვიტოთ და აი რისთვის: მე დამცველათ დაუსახელებივარ 15 სექტემბერს, სასამართლომ კი ამის შესახებ უწყება მხოლოდ გუშინ ჩამაბარა თფილისში; საქმეები ამ დროს უკვე აქ, ბათუმში იყო, ასე რომ მე საქმეს არ ვარ გაცნობილი და ეს კი სასამართლოს ბრალია. საქმე ძლიერ ძნელი და მძიმეა, სასჯელი ბრალდებულებს მეტათ დიდი მოელით. ერთი მხრით, მე არ შემიძლია ბრალდებულებს უარი ვუთხრა ჩემს იურიდიულ დახმარებაში და უდამცველოდ დავტოვო, მეორე მხრით, მე როგორც ვექილი, სისხლის სამართლის საქმეში არა მარტო კერძო ინტერესების მატარებელი ვარ, არამედ სახელმწიფო ინტერესებსაც ვემსახურები. ვექილი მსაჯულის თანაშემწეა, ის მას ეხმარება სიმართლის ძიებაში, და რათ გინდათ იმისთანა თანაშემწე, რომელიც საქმეს არ იცნობს.

სასამართლომ ორივე თხოვნა უარყო და ოქმში შეიტანა.

შემდეგ სასამართლო შეუდგა მოწმეების შეკითხვას.

მოწმეების ჩვენება მეტათ პირდაპირი, გულ-ახდილი, უშიშარი და ბრალდებულებისათვის ულმობელი იყო. ამ მხრივ მოწმეების ჩვენება უმაგალითო იყო. საზოგადოთ, მოწმეს ან ეშინია სიმართლის თქმა, როდესაც მისი ჩვენება ბრალდებულის ინტერესებს ეწინააღმდეგება და ამისთვის ის აშკარათ სცრუობს, ან და თავის ჩვენებას ის აშალაშინებს, ატკბილებს და აბუნდოვანებს. იქ კი ყველა გადაჭრილათ და მარტინათ ლაპარაკობდენ; ლაპარაკობდენ არა მარტო იმას, რაც რომ ენახათ და თვით გაეგონათ განსაზღრულ პირებისაგან, არამედ ყოველ განაგოს და ეგრეთ წოდებულ „ხმებსაც“, ჭორებსაც კი მოუთხრობდენ სასამართლოს, თუმცა თავმჯდომარე და დამცველები არა ერთხელ სთხოვდენ— „ჭორებს და ხმებს“ ნუ გადმოგვცემთო. ასე რომ, მათი ჩვენება ერთ და იმავე დროს ობიექტიურიც იყო და მეტად სუბიექტიურიც.

მოწმეების შეკითხვამ ოთხ დღეს გასტანა. დაიწყო ბრალმდებლის და დამცველების სიტყვები.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ბათუმი ძლიერ უკმაყოფილო იყო ვექილებით, მეტადრე საქმის გარჩევის პირველ დღეს. ყველა გაიძახოდა: „ყველასაგან პატივცემული კაცი დაატყვევეს, მოჰკლეს, საზიზღარი საქმე ჩაიდინეს, მთელი ბათუმი შეაძრწუნეს და განა მათი დაცვა შეიძლება! ეს დიდი უსირცხვილობა არისო.“

ნ. ელიავამ და ი. კაჩუხოვმა აღნიშნეს ეს გარემოება თავიანთ სიტყვებში და აუხსნეს ხალხს, რომ იგინი დანაშაულობას კი არ ამართლებენ და არც დამნაშავებს იცავენ, არამედ იცავენ ბრალდებულებს და ჭეშმარიტებას იძიებენ.

ბრალმდებლებმა თითქმის ორი საათი ილაპარაკა. სხვათა შორის მან სთქვა: მარტო მე კი არ ვთხოულობ მათ დასჯას. შეხედეთ, დარბაზი ხალხით არის სავსე, ქუჩები ხალხით გაიჭედა და ეს ხალხი, როგორც ერთი ადამიანი, თხოულობს მათ დასჯას, ის მოუთმენლივ მოელის თქვენგან გამამტყუნებელ განაჩენსო. ივ. კაჩუხოვმა, სხვათა შორის, შემდეგი სთქვა: ბრალმდებელმა გამოსთქვა თავისი აზრი, სიტყვა აწი ჩვენ გვეკუთვნის. ყოვლად უდანაშაულო კაცი, ყველასაგან პატივცემული ექიმი და მოქალაქე საზიზღათ მოჰკლეს; საზოგადოებას საუკეთესო წევრი წაართვეს, ოჯახი დააობლეს, ეს დანაშაულობა მეტათ შემაძრწუნებელია.

მე მესმის საზოგადოების აღელვება, მესმის დაქვრივებული ცოლის ცრემლები, მე თვით აღელვებული ვარ, ჯერ როგორც მოქალაქე, მერე როგორც ვექილი, რომელსაც ბრალდებულებმა თავიანთი ბედ-იღბალი, თავიანთი სიცოცხლე მომანდეს.

მე აქ ჩამოვსულვარ არა დანაშაულობის გასამართლებლათ, ჩამოვსულვარ არც დამნაშავის დასაცველათ, მე ჩამოვედი მხოლოდ ბრალდებულების დასაცველათ, საქმის ყოველივე მხრით გამოსარკვევათ, სიმართლის აღსადგენათ. და სანამ თვით სამსჯავრო არ იტყვის, რომ სწორეთ აი, ესენი არიან ამ საზიზღარი საქმის ჩამდენნი, სანამ ეს დაწესებულება არ გამოიტანს თავის განაჩენს, მანამდის აქ, აი ამ სკამზე ზის მხოლოდ ბრალდებული და არა დამნაშავე; მანამდის არავის არ აქვს უფლება სთქვას, რომ ესენი კაცის მკვლელები არიან. როდესაც თქვენ, ბ-ნნო მსაჯულნო, თქვენი განაჩენით იტყვით, რომ მართლაც ესენი არიან დამნაშავენი, ჩვენ, ვექილები გეტყვით: დაისაჯოს დამნაშავე. აი ჩვენი დამოკიდებულება ამ საქმესთან.

ხალხი იძახის: „რისთვის იცავენ ამ საქმეს ვექილები“! როგორც ექიმს არ აქვს უფლება დახმარება არ აღმოუჩინოს მძიმე, უიმედო ავათმყოფს, ისე ჩვენ, ვექილებს, არა გვაქვს უფლება სისხლის სამართლის საქმეში არ დავეხმაროთ ბრალდებულებს, მით უმეტეს მაშინ, როდესაც მათ სიკვდილით სასჯელი მოელის. რომ ბრალდებულებისათვის ყოველთვის საჭიროა დამცველი, ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ ჩვენს გვერდით თქვენ ხედავთ სასამართლოდან დანიშნულ ვექილს. მაშ, ამას თვით სახელმწიფოს ინტერესი მოითხოვს.

ჩვენი, ამ საქმის დამცველების, მდგომარეობა მეტად ძნელი და აუტანელია. ჩვენს წინააღმდეგ არის მომართული არა მარტო საქმის გარემოებები, საბუთები, მოწმეების ჩვენებები; ჩვენ წინააღმდეგაა არა მარტო ბრალმდებელი. ჩვენი მოწინააღმდეგეა მთელი ბათუმი, მისი საზოგადოებრივი აზრი; ჩვენს წინააღმდეგაა „ხმები“, ჭორები, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ მართლ-მსაჯულების ღმერთ ფემიდას თვალები ახვეული აქვს; ის ხედავს მხოლოდ ბრალდებულს, მას ესმის მხოლოდ ის, რაც სასამართლოს დარბაზში ხდება; დანარჩენებისათვის ის ბრმა და ყრუა.

ბრალდებელი გეუბნებათ: ხალხი მოვიდა და თხოულობს ამათ დასჯასო. მე კი ვეტყვი ამ ხალხს: სასამართლოს შემოსავალ კარებზედ უხილავი, მაგრამ ცეცხლის ასოებით წარწერაა: „სიმართლე და ღმობიერება სუფევდეს სასამართლოში“ სასამართლოს დარბაზში მოსულხართ? კეთილი, შემობრძანდით, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ აქ მეფობს გრძნობა სიყვარულისა და არა შურის-ძიებისა; აქ არ შეიძლება ყვირილი: „ჯვარს-აცვ იგი, ჯვარს-აცვ იგი!“

შემდეგ კაჩუხოვი არჩევს საბუთებს, მოწმეების ჩვენებას და იმ დასკვნამდის მიდის, რომ დოლიძის, ცინცაძის და ჯინჭარაძის—ის ამ სამს იცავდა—მონაწილეობა საქმეში არ არის დამტკიცებული, თუ რომ ჭორებს არ მივიღებთ მხედველობაში და თავის სიტყვას ათავებს: დაამტკიცეთ მათი მონაწილეობა ამ საქმეში და ისე გაგზავნეთ სახრჩობელასაკენ. არ მოხდეს, რომ მათ სახრჩობელას წიწ შეგეკითხონ: „რისთვის გვახრჩობთო?“ დასტოვეთ ჩემშიდაც, მათ დამცველში შეურყეველი რწმენა რომ სწორეთ ესენი არიან ამ საზიზღარი საქმის ჩამდენი.

სასამართლომ ცხრას სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა, ხუთს სამუდამო კატორღა. დამცველებმა განაჩენი გაასაჩივრეს, მაგრამ კავკასიის ნამესტნიკმა საჩივარს მსვლელობა არ მისცა და ხუთს სიკვდილი სამუდამო კატორღათ შეუცვალა. დანარჩენ ოთხს: რამიშვილს, ქლენტს, ცინცაძეს და დოლიძეს ჩამოხრჩობა მოელის. ჩამოხრჩობა გადაწყვეტილება დედოფალს დეპეშით სთხოვეს სიცოცხლის ჩუქება.

ბათუმელი.

პროვინცია

დ. ჩოხატაური (გურია). 9 ოქტომბერს აქ ოზურგეთიდან ამოვიდა მაზრის უფროსის თანხლებით ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი ბ-ნი სლავოჩინსკი. გუბერნატორს მდ. სუფსასთან შეხვდენ მცხოვრებნი, უმეტესათ ჯვარცხმის საზოგადოებიდან და ზერ-მარილი მოართვეს. გუბერნატორმა ადგილობრივ ადმინისტრაციას შენიშნა მისცა: „რატომ მოიწვიე აქ ესენი ამ მუშაობის დროსო“, ამაზე მაზრის უფროსმა უპასუხა: „თვითონ ინებეს მოსვლაო“. ზერ-მარილის მიღების შემდეგ მცხოვრებთა წარმომადგენელმა მოახსენა გუბერნატორს: „ჩვენში წელს მოსავალი ნაკლებაა და დახმარებას გთხოვთო“, რაზედაც გუბერნატორმა უპასუხა: არა უშავს, აქ თუ ნაკლებაა, სამაგიეროთ დანჩხუთის და სუფსის მხარეზე კარგი მოსავალია, გადმოისესხეთ და იქიდან გახვალთო. მოახსენეს აგრეთვე, რომ დრამის ფულის საქმემ ჩვენსა და სამღვდელოების შორის შუღლი და განხეთქილება ჩამოაგდო, რაიც სარწმუნოებისათვის არ არის კარგი და გთხოვთ რაიმე დახმარება გაგვიწიოთო. მე რა უნდა დაგეხმაროთო?—მიუგო გუბერნატორმა,—ის, რომ მღვდლებს ხაზინამ მისცეს ჯამაგირიო. ეს იწყინა გუბერნატორმა და ორი-სამი საწყენი სიტყვების შემდეგ დ. ჩოხატაურში წამოვიდა. მისვლის უმალვე შევიდა ადგილობრივ ბოქაულის კანცელარიაში, სადაც მიიღო ადგილობრივი დაწესებულების მოხელეები და ორი სამი თხოვნა. შემდეგ კი სასადილოთ წავიდა კნ. გერა ერისთავისას, სადაც მას შეხვდა გ. ერისთავის თაოსნობით დაარსებულ ორ-კლასიან სქალებო სკოლის მასწავლებლები და მოწაფენი. მოწაფემ გუბერნატორს პატარა სიტყვა უთხრა და ზერ-მარილი მიართვა.

სადილის შემდეგ ბ-ნმა გამრეკელიძემ გუბერნატორის ერთი მოხელის თანდასწრებით ჩვენება ჩამოართვა რამდენიმე პირთ ადგილობრივ მცხოვრებ მარინე მგალობლიშვილის საწვრის შესახებ, რომელიც ამ დღეებში ადგილობრივმა „სტრაჟნიკებმა“ გალახეს, ბოქაულის არ ყოფნის დროს და რომელმაც (მგალობლიშვილის ქვრივმა) იჩივლა გუბერნატორთან. როგორც ექიმების მოწმობა ამტკიცებს, მოხუცი ქალი ძალზე ნაცემია. ყოველივე გამოძიება თან წაიღო გუბერნატორმა და საღამოს 6 საათზე ქუთაისში წავიდა.

აქვე არ შემიძლია აღვნიშნო ის, რომ „სტრაჟნიკებისაგან“ გალახულთა რიცხვი ამ ცოტა ხანში ბევრი აღმოჩნდა, მარა გუბერნატორთან ჩივილი კი ვერ გაბედეს სტრაჟნიკების შიშით!..

გამგლე—ლია.

—

ს. ჩხარი (შორაპნის მაზრა). წელს აქეთ ძლიერ ცუდი მოსავალი იყო. ღვინოც ნაკლები მოვიდა. მიუხედავათ ამისა ღოთობა და სხვა ამ გვარები სრულიადაც არ შემცირებულა. პარასკეობით აქ იმართება ბაზრობა. ჩამოდიან სოფლებიდან გლეხები და უკანასკნელ გროშებს ხარჯავენ ღვინოში. ქეიფს თან მოსდევს ჩხუბი და თავის მტვრევა.

29 სექტემბერს ცეცხლი გაუჩნდა იოსებ შოთაძის ბედელს. სახლის პატრონმა ყვირილი მორთო: ჩემმა შვილმა ვასილ შოთაძემ დამწვაო. მიეშველენ მეზობლები და ცეცხლი ჩააქრეს. არ გასულა ერთი საათი, რომ იქვე ბაღის ზვინს გაუჩნდა ცეცხლი. ხალხი შიშმა შეიპყრო, იმ ღამეს არავის დაუძინია და ყველა თავის სახლს სდარაჯობდა. საზოგადოთ, ცეცხლის გაჩენა აქეთ ხშირი მოვლენაა საჭიროა სოფლელებმა შეიძინონ ცეცხლის საქრობი მანქანა.

აქ დაინიშნა ახალი ბოქაული ბ-ნი ი. მ ასათიანი, სოფლელებს იმედი აქვს, რომ ის რაიმე ზომებს მიიღებს ასეთ არა ნორმალურ მოვლენების წინააღმდეგ.

გ. მ. ვანელი.

—

ს. ხრესილი (ოკრიბა). ამ დღეებში დაბოლოებით გადაწყდა სავავათმყოფოს დაარსების საქმე შუა ოკრიბაში (ხრესილი) იყო საგუბერნიო ექიმი, აირჩია სახლი და მოაწყობს რიგა ყოველივე; დანიშნულია ექიმი ბ. ნიკო შენგელია, ფერშლები და ბებია ქალი. ასე ამრიგათ ახლო მომავალში, როგორც მოთავდება სახლის შეკეთება, ავადმყოფების მიღებაც დაიწყება.

მადლობის ღირსია ყველა ის პირნი, ვინც ამ საქმეში მხურვალე მონაწილეობას იღებდენ და ენერგიულათ დაძლიეს ყოველივე დაბრკოლებას.

თითქმის ერთი წლის წინათ განზრახული იყო აქვე სკოლის დაარსება და წ.—სც—სამკითხველოსი აკაკის სახელობაზე. იუბილეის დროს დიდი რიხით აღუთქვა ყველამ, მას შემდეგ კი ხმასაც არავინ იღებს ვინც დიდ დახმარებას გვპირდებოდა, ამიტომ ჯერ-ჯერობით საქმე შეჩერებულია.

განმეორებით მივმართავ ყველა აქაურ შეგნებულ პირთ და ვთხოვთ დახმარება-შემოწირულებას, რომელიც შემდეგში გამოიხატება: ჩაწერა წევრათ (საწევრო ფული სამი მანეთია) სასწავლო ნივთების შემოწირვით და აგრეთვე საკითხავი წიგნებით ბიბლიოთეკისთვის. ყოველივე შემოწირულება თავის დროზე იქნება გამოცხადებული გაზეთში. შემოწირულება მიიღება ქუთაისში ჩემთან, გენერლის ქუჩაზე გელენჯერიძის სახლში, გურსებში ე. ბერეჟიშვილთან, ხრესილში და ბობოთში გიორგი როინიშვილთან.

ამასთანავე დიდი მადლობის ღირსია ეკტეხი ბერეჟიშვილი, რომელმაც შემოწირა სკოლისთვის: ორი თვალი სახლი ადგილით სკამებით და ყოველივე მოწყობილობით, მასწავლებლის ადგილს სიამოვნებით დავიჭერ მე და გასწავლი უსასყიდლოთ, სანამ საშუალება არ გვექნება დავიქირავოთ მუდმივი მასწავლებელი.

იმედი გვაქვს ასეთ გულ-უხვ შემოწირულებას, როგორც ამ პატივცემული ე. ბ. სხვებსაც წაახალისებს და წაბაძვენ მას, რომ წვრილმანი ხარჯები მაინც დავფაროთ და ამით ხელი შევუწყოთ ასეთ სიმპატიურ საქმეს, რომელსაც ყველაზე მეტად ეს ჩამორჩენილი მხარე საჭიროებს.

ცაცა დარახველიძე.

ე. ნინოშვილის მეგლის ასაგებათ.

„მომავალის“ რედაქციას. გიგზავნით სადგურ ელისავეტპოლში მოსამსახურეებში შეგროვილ ფულს—2 მ. 5 კ. *) ეგნატე ნინოშვილის ფონდის გასაძლიერებლათ. შეგროვილი იყო 2 მან. 20 კ სამი შაური გამოსაგზავნათ დასჭირდა. გთხოვთ გამოაცხადოთ შემომწირველთა სია: შალვა დუნდუა; ბიქტორ რობაქიძე ათ-ათი შაური; ბ. სანაძემ 40 კაპ. სიკო საგინოვმა; პლატონ თოფურიამ, პარმენ ჭუმბურიძემ და კოლია კიკნაძემ თითო აბაზი.

ბ. რობაქიძე.

—

გიგზავნით 17 მანეთს ე. ნინოშვილის ძეგლის სასარგებლოთ და უმორჩილესად გთხოვთ გადასცეთ დანიშნულებისამებრ. შემომწირველთა სია: ი. ვ. ქერქაძე 5 მ.—სამ სამი მანეთი: ი. ს. იორაიშვილი, გ. ი. გველესიანი, ვ. თ. ჯოხაძე და პ. ი. თევზაძე. სულ 17 მან, **).

ი. ს. იორაიშვილი.

ქ. ბლაგოვეშჩენსკი მდ. ამურზე 10 ოქტ.

*) ეს ფული, 2 მ. 5 კ. დანიშნულებისამებრ გადაეცა. რედ.

**) ეს ფული, 17 მ. დანიშნულებისამებრ გადაეცა. რედ.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. მელიქ-შახნაზარიანცი

განცხადება

ექიმი

პ. არდაზიანი

ბავშვების და შინაგანი ავათმყოფ.

კუთხე მელიქოვისა და ალექსანდროვის ქუჩისა ინტენდანტსტვოს პირდაპირ. მე-9 უჩასტკა: დილის 9—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდის.

Уголъ Меликовской и Александровской ул.

პროვოდნიკის
ამხანაგობა
რიგაში

1888

1908 წ.

საფაბრიკო საწყობ ს განყოფილება ამიერ-კავკასიისათვის

თფილისში სოლოლაკის ქუჩა № 4.

იყიდება ნ რდა და ცალობით

დარეზინებული წყალგაუვალი ზედა ტანისამოსი სულ ახალი საზღვარგარეთულ ფასონების საუკეთესო ინგლისურ მატერიეაისა სულ იაფ ფასამდე.

დარეზინებული წამოსასხამები და პალტოები ბ-ნთ ოფიცრებისათვის.

დარეზინებული მატერია სხვადასხვა მიზნისათვის.

№ 4

რეზინის ლრუბელი.

№ 2

სავარცხლები რქის რეზინისაგან.

(24—6—48).